**„დინამო“ (თბილისი) – „დინამო“ (მოსკოვი) 3:1 (1:1)**

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 10 აპრილი.**

**„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ე. თევზაძე, ჭედია (ცვეიბა, 80), არზიანი, ტყებუჩავა, სვანაძე, სულაქველიძე, გ. ჯიშკარიანი (ფანცულაია, 64), გურული, შენგელია.**

**მოსკოვი: ხარინი, ლოსევი, სკლიაროვი, დობროვოლსკი, სილკინი, პოზდნიაკოვი, უშაკოვი, მოროზოვი, კოლივანოვი (ტიმოშენკო, 62), კარატევი (სმერტინი, 33), ბოროდიუკი.**

**მსაჯი ი. მალიაუსკასი (ალიტუსი).**

თბილისის „დინამოს“ შეხვედრები მოსკოვის თანაკლუბელებთან საგანგებო კატეგორიას მიეკუთვნება, ვინაიდან ყველაზე ძნელი მეტოქე თბილისელთათვის მოსკოვის „დინამოა“. მათ შორის საკავშირო ჩემპიონატებში ჩატარებული მატჩების ბალანსს თუ გადავხედავთ, იოლად დავრწმუნდებით, რომ ჩვენს გუნდს ათეული წლები სჭირდება და ისიც ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებებით მცირედ მაინც რომ აინაზღაუროს დიდი დეფიციტი.

ფეხბურთი სპეციალისტებს წესად არ აქვთ ცალკეული მატჩების პროგნოზები, მაგრამ ეს დაუწერელი კანონი ჩვენ დავარღვიეთ და მატჩის წინ მივმართეთ ცნობილ სპეციალისტებს შეკითხვით: ვინ გაიმარჯვებს?

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბორის პაიჭაძემ მხოლოდ მხრები აიჩეჩა და თქვა - მოსკოვის „დინამოსთან“ ყოველთვის გვიჭირდა თამაშიო.

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა კარლო ყრუაშვილმა ეჭვიანად გააქნია თავი, ძალიან ძნელი სათქმელიაო. საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯმა ოტია ჟორდანიამ კი დარწმუნებით და კატეგორიულად გამოთქვა თავისი აზრი: მოვიგებთ! თუ გინდა ანგარიშსაც გეტყვი - 3:1 იქნებაო.

გამართლდა ო. ჟორდანიას სიტყვები, თუმცა ამ მოგებას ჩვენი გუნდის ძალების და რესურსების მაქსიმალური დაძაბვა დასჭირდა.

ეს უკეთესიცაა. უკეთესი იმ გაგებით, რომ ჩვენს ფეხბურთელებს ახლა ძალების მობილიზებაც შეუძლიათ და სრული მონდომებისა და აქტივობის გამოჩენაც, რაშიც, არა მარტო 10 აპრილს დავრწმუნდით. თვით წინა ტურებში ლენინგრადის „ზენიტთან“ და მოსკოვის „ლოკომოტივთან“ წაგებულ მატჩებშიც კარგად ჩანდა ჩვენი ფეხბურთელების ბრძოლისუნარიანობა, ენერგია, მონდომება.

განვლილ მატჩზეც ეს შეიძლება ითქვას. თუ საფეხბურთო ოსტატობით ორივე მხარე დაახლოებით თანაბრად გამოიყურებოდა დასახული მიზნისადმი მისწრაფებით თბილისელებმა მეტი მონდომება გამოიჩინეს. დაწინაურდა მათ ჯერ კიდევ მე-5 წუთზე შეეძლო, როცა არზიანის უძლიერესი დარტყმა ძელს მოხვდა. მოსკოველები საკმაო ხანს მხოლოდ დაცვითი ოპერაციებით იყვნენ დაკავებული. მათ კარგად აქვთ ათვისებული კოლექტიური დაცვის პრინციპები, ამიტომაც შუა მინდორში მოპოვებული

საერთო ინიციატივის დასასრულს, სტუმრების საჯარიმო მოედანზე, ბრძოლა უმთავრესად მოსკოველთა გამარჯვებით მთავრდებოდა, მაგრამ აი, 32-ე წუთზე გარღვევაზე გასული შენგელია ერთ-ერთმა მცველმა უხეშად წააქცია. ი. მილიაუსკასმა წამსვე დანიშნა 11-მეტრიანი, რომელიც ზუსტად გამოიყენა გურულმა - 1:0.

გავიდა რამდენიმე წუთი და ახლა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე მოხდა დარღვევა. 11-მეტრიანი დარტყმა ბოროდიუკმა შეასრულა, გაბელიამ გამოიცნო ბურთის მიმართულება, მაგრამ სულ ოდნავ დააგვიანა - 1:1.

კიდევ უფრო დაიძაბა და გართულდა მდგომარეობა შესვენების შემდეგ. თბილისის „დინამოს“ თითოეული ფეხბურთელი თ. სულაქველიძის მეთაურობით შეუპოვრად იბრძოდა მინდორზე შექმნილ ყოველ ეპიზოდში. რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ ცენტრალურ მცველ ენუქი  თევზაძეზე, რომელიც თბილისის „დინამოში“ დააბრუნეს ქუთაისის „ტორპედოდან“, ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე შექმნილ ყოველ ეპიზოდში. ე. თევზაძემ მთელი მატჩი საუკეთესოდ ჩაატარა და ღირსეული წვლილი შეიტანა თბილისელთა გამარჯვებაში.

მასპინძლები დიდხანს, მონდომებით, ენერგიულად უტევდნენ, მაგრამ იმის თქმა, რომ თამაში მხოლოდ მოსკოველთა ნახევარზე მიმდინარეობდა, სწორი არ იქნება. მოსკოველებს კარგად აქვთ დამუშავებული კონტრშეტევის მანევრები. რამდენიმე მომენტში, კერძოდ, ბოროდიუკთან და ლოსევთან შეტაკებისას კარი აშკარა ხიფათს გადაარჩინა გაბელიამ.

მიმდინარეობდა 74-ე წუთი, როცა სულაქველიძემ შუა მინდვრიდან წამოიწყო შეტევა. კომბინაცია მარჯვენა ფლანგზე გაგრძელდა, შემდეგ ბურთი გურულს  გადასცეს და მან ზუსტად, ძლიერად დაარტყა მიზანში - 2:1.

გამარჯვებას შენარჩუნება ესაჭიროებოდა. ჩვენი გუნდიც საამისოდ იბრძოდა, მაგრამ 85-ე წუთზე მოსკოველებმა უხეშად ითამაშეს სვანაძის წინააღმდეგ. მსაჯმა ჯარიმა დანიშნა. თბილისელებმა იგი ტყებუჩავას მიანდეს. მან კი ისეთი ძალით და სიზუსტით დაარტყა მიზანში, რომ მეკარე ხარინი სრულიად უძლური იყო რაიმე მოემოქმედა - 3:1.

**მაყურებელი კმაყოფილი დარჩა არა მხოლოდ შეხვედრის შედეგით, არამედ თამაშითაც, მაგრამ უყოყმანოდ უნდა ითქვას: მატჩი ერთგვარად გააუფერულა და მაყურებელი გაწბილებული დატოვა მსაჯმა ი. მალიაუსკასმა. ხშირად იწვევდა ირონიას და გაკვირვებას შეცდომები რომელსაც დაბნეული არბიტრი უშვებდა.**

**„ლელოს“ ფეხბურთის განყოფილება**

**ინტერვიუ მატჩის შემდეგ**

გერმან ზონინი, თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი: ჩვენი გუნდი მოსკოვის დინამოელებთან შეხვედრაში როგორც ფიზიკურად, ასევე ტაქტიკური თვალსაზრისით უკეთ გამოიყურებოდა. თუმცა ხარვეზები ამ შეხვედრაშიც საკმაოდ გვქონდა, მაგრამ ჩვენმა ფეხბურთელებმა შეძლეს დობროვოლსკის, კოლივანოვის, ბოროდიუკის შეტევების უვნებელყოფა. ჩვენ აქცენტი შეტევის მარჯვენა ფლანგზე უნდა გადაგვეტანა, სადაც ახალგაზრდა უშაკოვმა აშკარად ვერ გაართვა თავი ამოცანას. თბილისელებმა შეძლეს დასახული ამოცანის განხორციელება, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო.

ანატოლი ბოშოვეცი, მოსკოვის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი“: არ მინდა თბილისელებს დავუკარგო დამსახურება გამარჯვებაში, მაგრამ ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მათ ბედიც სწყალობდათ. სტადიონზე მოსულმა მაყურებელმა კარგი ფეხბურთი ნახა. შეხვედრის ორივე ნახევარი დაძაბულად მიმდინარეობდა. ღირსეულ მეტოქეთა დავაში გამარჯვება უფრო იღბლიანს დარჩა.

ლელო 12.04.1988